გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება № 188
2024 წლის 13 დეკემბერი
ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შესახებ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 156-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით მუნიციპალიტეტის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა დგინდება „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. საქართველოს კანონის „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით საჯარო დაწესებულებაში „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით მიღებულ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობა არ უნდა აღემატებოდეს საჯარო დაწესებულების მთლიანი საშტატო რიცხოვნობის 5%-ს.

გორის მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს აპარატის მთლიანი საშტატო რიცხოვნობა შეადგენს 307.848 ერთეულს, ხოლო აღნიშნულის 5 % არის 15.3924 ერთეული. გორის მუნიციპალიტეტის მერიაში ამ ეტაპზე ხელშეკრულებით დასაქმებულია 26 პირი, ხოლო გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 5 პირი.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მიერ მომზადდა საქმეთა სანიმუშო ნომენკლატურა, რომელიც შემუშავებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2007 წლის 15 ივნისის № 174 ბრძანებით დამტკიცებული "დაწესებულებათა არქივების მუშაობის წესების" მოთხოვნათა შესაბამისად. მასში თავმოყრილია საკრებულოს აპარატის საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი ძირითადი, ტიპური დოკუმენტები. საქმეთა ნომენკლატურის შედგენისას გამოყენებულია საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის № 72 ბრძანებით დამტკიცებული „დაწესებულებების საქმიანობის პროცესში შექმნილი ტიპობრივი მმართველობითი დოკუმენტების ნუსხა“. აღნიშნული დოკუმენტაციის შესრულების პროცესში გამოიკვეთა გორის მუნიციპლაიტეტის საკრებულოს აპარატში არქივის თანამშრომლის დანიშვნის აუცილებლობა. არქივის თანამშრომლის უფლებამოსილებები იქნება ნომენკლატურის შესაბამისად საკრებულოს საქმისწარმოებაში არსებული საქმეების ფორმირება და აღრიცხვის წესის უზრუნველყოფა, ასევე საქმეებში შესრულებული ცალკეული დოკუმენტების დაჯგუფება, საქმეთა სისტემატიზაცია, ინდექსაცია და შენახვის ვადების კონტროლი. ასევე მის კომპეტენციაში

იქნება ეროვნული არქივისთვის დოკუმენტაციის ჩაბარების უზრუნველყოფა და მომავალში მათთან თანამშრომლობა.

საქართველოს კანონის „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად ზემოაღნიშნული შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების წესი, აგრეთვე საჯარო დაწესებულებაში არამუდმივი ამოცანების შესრულების მიზნით მიღებულ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება საქართველოს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით. „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მიხედვით შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა საჭიროებს ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებას, თუ საჯარო დაწესებულებაში 30 დღეზე მეტი ვადით გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა აღემატება შტატით გათვალისწინებულ თანამდებობებზე ფაქტობრივად დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობის 1%-ს (გორის მუნიციპალიტეტის შემთხვევაში 3.07848 ერთეული). იმ საჯარო დაწესებულებაში, სადაც საშტატო რიცხოვნობის 1% 5 ერთეულზე ნაკლებია, შეთანხმებას საჭიროებს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა, რომელიც 5 ერთეულზე მეტია. შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისი დაიშვება მუნიციპალიტეტის შემთხვევაში – მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებისა და სამართლებრივი ნორმების გათვალისწინებით, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია გორის მუნიციპალიტეტში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შესახებ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისთვის თანხმობის მიცემა შრომითი ხელშეკრულებით დამატებით ერთი პირის დასაქმებაზე.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ 29-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების და „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. გორის მუნიციპალიტეტში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შესახებ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს მიეცეს თანხმობა შრომითი ხელშეკრულებით დამატებით 1 (ერთი) პირის დასაქმებაზე.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**